ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N18
16.12.2015

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. 1996 წლის კურსდამთავრებული ეკატერინე პატიეშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

2. ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ წარდგინებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ერთი პროექტის დასრულებისა და სამი პროექტის მიმდინარე ანგარიშების წარმოდგენა.

4. ი. ჯავახიშვილის სახელობის პროფესორების ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმისათვის შესარჩევი 8-წევრიანი კომისიის შექმნა.

5. ი. ჯავახიშვილის სახელობის სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმისათვის ნაშრომების შერჩევის პროცედურის დადგენა.

6. ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

7. ფაკულტეტის შესწორებული სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცება.

8. საბაკალავრო პროგრამაში უცხოენოვანი ლიტერატურის მქონე სილაბუსების შესახებ.

9. მ. მესტვირიშვილის შემოქმედებითი შვებულება.

10. მისაღები კონტიგენტის კვოტებში ცვლილების ცნობად მიღება: პროგრამა მულტილინგვური განათლების 10 ადგილის დამატება.

11. სხვა:

სხდომას ესწრებოდნენ:

თავჯდომარე - დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

<u>ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა, გიორგი გოროშიძე, ლალი სურმანიძე, ანასტასია ქიტიაშვილი, მაია მესტვირიშვილი

ასისტენტ პროფესორები: თეონა ლოდია, ჩხიკვიშვილი ლია, ხეჩუაშვილი ლილი, ნინო ლაბარტყავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ირინე გედევანიშვილი.

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი:

ქეთევან ჭკუასელი
ასოცირებული პროფესორი:
იზაბელა პეტრიაშვილი, რუსუდან სანაძე
ასისტენტ პროფესორი:
ზაქარია ქიტიაშვილი
სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:
თამარ ბუაჩიძე
მარიამ ტაბატაძე
გვანცა სალია
სალომე თოფურია
ანი ზერეკიძე
ნიკა გოძიაშვილი
ნინო ცინაძე
ქეთევან აბესაძე
საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 26 წევრი.
განიხილეს:
1. 1996 წლის კურსდამთავრებულ, ეკატერინე პატიეშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნის საკითხი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს წარუდგინა 1996 წელს თსუ კურსდამთავრებულის, ეკატერინე პატიეშვილის საკითხი. მან აღნიშნა, რომ თსუ–ს რექტორს განცხადებით მიმართა 1996 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა **ეკატერინე პატიეშვილმა**, რომელიც ითხოვს მის სახელზე უნივერსიტეტის მიერ გაცემულ დიპლომში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორებას (ნაცვლად პატიეშვილისა დაფიქსირებულია პატეიშვილი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტი ვალდებულია **ეკატერინე პატიეშვილის** სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. (რექტორის N55/01–01 16.04.2014წ. ბრძანების შესაბამისად).

ეკატერინე პატიეშვილი 1991 წელს ჩაირიცხა (ბრძ.#4/520, 15.08.1991) და 1996 წელს (ბრძ.#4/479, 12.07.1996 წ.) დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის 18 ივნისის სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით მას მიენიჭა ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სპეციალობით - შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია.

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება **ეკატერინე პატიეშვილის** სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი, მიზანშეწონილია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები და ოქმის ნომრად პირობითად განისაზღვროს ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღი (რიცხვი), რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა იმ კურსდამთავრებულზე, რომელთა ოქმები

არ არის დანომრილი და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

საქმის წარმოებისას ასევე გაირკვა, რომ ეკატერინე პატიეშვილის 1996 წლის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმსა და ბრძანებაში დაფიქსირებული სპეციალობები არ ემთხვევა ერთმანეთს, კერძოდ: ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის 18 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით მას მიენიჭა ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სპეციალობით - **შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია,** ხოლო ბრძანებაში (#4/479, 12.07.1996) დაფიქსირებულია ფსიქოლოგის კვალიფიკაცია **შრომისა და ეკონომიკის ფსიქოლოგიის სპეციალობით.**

ეკატერინე პატიეშვილის დიპლომში მითითებულია სპეციალობა შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია.

ფაკულტეტის საბჭომ უნდა გადაწყვიტოს რომელი სპეციალობა დაუფიქსირდეს დიპლომში ეკატერინე პატიეშვილს, ოქმში მითითებული თუ ბრძანებაში მითითებული.

აზრი გამოთქვეს:
ასისტენტ პროფესორმა ლილი ხეჩუაშვილმა და ასოცირებულმა პროფესორმა იზაბელა პეტრიაშვილმა საბჭოს შესთავაზეს ცალ-ცალკე ეყაროს კენჭი ეკატერინე პატიეშვილის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების შექმნის საკითხს და დიპლომში კვალიფიკაციის მითითების საკითხს.

საბჭომ კენჭი უყარა შემდეგ წინადადებებს:

ა. განისაზღვროს ეკატერინე პატიეშვილის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები და ოქმის ნომრად პირობითად განისაზღვროს ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღი (რიცხვი), რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა იმ კურსდამთავრებულზე, რომელთა ოქმები არ არის დანომრილი და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

მომხრე -26
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0.

ბ) ეკატერინე პატიეშვილს დიპლომში დაუფიქსირდეს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის 18 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით მიენიჭებული ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სპეციალობით - **შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია.**

მომხრე -26
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0.

2. ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ წარდგინებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს განუმარტა, რომ 2015 წლის 25 სექტემბერს (ოქმი # 14) ფაკულტეტმა განიხილა კურსამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი (საუბარია სტუდენტებზე, რომელთაც გადავადებული ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა) და მიანიჭა კურსამთავრებულებს შესაბამისი კვალიფიკაცია. იმისათვის, რომ აღნიშნული წარდგინება შესაბამისობაში იყოს 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან უნდა შეიცვალოს ორი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მიენიჭოთ ***განათლების მეცნიერებების მაგისტრის*** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2015 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი - განათლების მეცნიერებები

<u>დიპლომი წარჩინების</u>

1. ქვრივიშვილი მარი

<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>

2. ლეკიაშვილი ვერიკო

მიენიჭოთ ***მასწავლებლის განათლების მაგისტრის*** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2015 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი - მასწავლებლის განათლება

ქვედარგი - ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

<u>დიპლომი წარჩინების</u>

1. ხეცურიანი თამარ

საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ წინადადებას:
მომხრე- 26
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

3. ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ერთი პროექტის დასრულებისა და სამი პროექტის მიმდინარე ანგარიშების წარმოდგენა.

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა ინფორმაცია ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ერთი პროექტის დასრულებისა და სამი პროექტის მიმდინარე ანგარიშების შესახებ. მოცემულ საკითხთან

დაკავშირებით, თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, დიმიტრი ჩუბინიძემ საბჭოს გააცნო არსებული ვითარება, საპროექტო ვალდებულებები და პერსპექტივები. მან აღნიშნა, რომ დასრულებულია მუშაობა პროექტზე „მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების ინტეგრირებული 300-კრედიტიანი პროგრამის პედაგოგიური მოდულების (პედ. დისციპლინები, პედ. პრაქტიკა, კვლევითი ნაწილი) შემუშავება/ VII – XII კლასების მასწავლებელი/“ - ხელმძღვ. პროფ.ქ. ჭკუასელი, ხოლო 6-თვიანი პერიოდის მუშაობის ანგარიში წარმოდგენილია სამ პროექტთან დაკავშირებით, კერძოდ, „თვითსტიგმატიზაციის ფენომენი ეპილეფსიის მქონე მოზარდებთან“, ხელმძღვ. პროფ. ლ. სურმანიძე; „პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში: პიროვნული ფაქტორების, ადაპტაციისა და სოციალური მხარდაჭერის როლი“, ხელმძღვ. პროფ. მ. ჩიტაშვილი; „ემიგრაცია და დაბრუნება სამშობლოში: მიგრანტების რეინტეგრაცია, იდენტობა და ოჯახთან ადაპტაციის პრობლემები “, ხელმძღვ. ასოც./პროფ. მ. მესტვირიშვილი.

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ გამოთქვა ინიციატივა, რომ საფაკულტეტო საჯარო კოლოკვიუმის ფორმით გამარჯვებული პროექტების სამეცნიერო ხელმძღვანელებმა გააკეთონ მოხსენება და წარადგინონ საბოლოო შედეგები.

საბჭომ ცნობად მიიღო აღნიშნული ინფორმაცია და მხარი დაუჭირა პროფესორ თამარ გაგოშიძის ინიციატივას.

მომხრე: 26

მოწინააღმდეგე: 0

თავი შეიკავა: 0

4. ი. ჯავახიშვილის სახელობის პროფესორების ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმისათვის შესარჩევი 8-წევრიანი კომისიის შექმნა.

პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ პროცედურის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ყოველწლიური პროფესორთა სამეცნიერო ფორუმისათვის კანდიდატთა შემრჩევი კომისიის შემადგენლობას გაუვიდა ლეგიტიმაციის ვადა და საჭიროებს ხელახალ დამტკიცებას. შესაბამისად, პროფესორმა თ. გაგოშიძემ დაასახელა 8-წევრიანი კომისიის შემდეგი კანდიდატურები: ასისტენტ-პროფესორები - ეფემია ხარაძე, ხათუნა მარწყვიშვილი თეონა ლოდია, მედეა დესპოტაშვილი; ასოცირებული პროფესორები რუსუდან სანაძე, ირაკლი იმედაძე, გიორგი ყიფიანი; პროფესორი - მზია წერეთელი.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ კანდიდატურებს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 26

მოწინააღმდეგე: 0

თავი შეიკავა: 0

5. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმისათვის ნაშრომების შერჩევის პროცედურის დადგენა.

პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტს შესამუშავებელი აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმისათვის ნაშრომების შერჩევის პროცედურა. მისივე შემოთავაზებით, ოპტიმალური იქნებოდა, თუკი ფაკულტეტის საბჭო გაიზიარებდა შარშანდელ გამოცდილებას, აირჩევდა 2-3 პროფესორს რეცენზენტებად, რომლებიც შეაფასებდნენ ნაშრომებს და წარუდგენდნენ საბჭოს რეკომენდაციას.

გამოითქვა შენიშვნები და მოსაზრებები :

პროფესორი ქეთევან ჭკუასელი - ჩვენ გვაქვს გამოცდილება ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ამ მიმართებით მუშაობისა, სადაც საბჭოს მთელი შემადგენლობა ისმენდა და აფასებდა ნაშრომებს და საშუალო არითმეტიკულით გამოგვყავდა საკონკურსო ქულები.

ასისტენტ პროფესორი თეონა ლოდია: ობიექტურობისათვის ვფიქრობ, რომ საჭიროა შემუშავდეს გარკვეული საერთო შეფასების კრიტერიუმები.

პროფესორი ლალი სურმანიძე: ვფიქრობ, ეს არ არის საბჭოს პრეროგატივა, როგორწ წესი, თითოეული კომისია თავად თანხმდება შეფასების კრიტერიუმებზე.

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან გამოითქვა ორგვარი შეხედულება ნაშრომების შერჩევის წესთან დაკავშირებით, სასურველია თითოეულს ცალკე ვუყაროთ კენჭი:

სტუდენტთა ფორუმისათვის წარმოდგენილი მოხსენებები მოისმინოს საბჭომ მთლიანი შემადგენლობით, ცალ-ცალკე შეაფასოს და საშუალო არითმეტიკულით დაჯამდეს საკონკურსო ქულები.

მომხრე: 0
მოწინააღმდეგე: 24
თავი შეიკავა: 2

სტუდენტთა ფორუმისათვის წარმოდგენილი მოხსენებები გადაეცეთ საბჭოს მიერ დასახელებულ რამდენიმე რეცენზენტს, რომლებიც შეაფასებენ ნაშრომებს და წარუდგენდნენ საბჭოს რეკომენდაციას.

მომხრე: 26
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

აქვე საბჭოს პროფესორმა თამარ გაგოშიძემ შესთავაზა სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმისათვის ნაშრომების შემრჩევი 3 რეცენზენტი - ასისტენტ პროფესორები ლილი ხეჩუაშვილი, თეონა ლოდია და ნინო ლაბარტყავა.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ კანდიდატურებს და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 26
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

6. ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს წარუდგინა 2016 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტი. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტში

გათვალისწინებულია პროფესორების მივლინებების თანხა, წარმომადგენლიობით ხარჯებში გათვალისწინებულია მოწვეული პროფესორების საცხოვრებელი და სამოგზაურო ხარჯები» ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამების დაფინანსება, კონფერენციების მოწყობა, დოქტორანტების დაფინანსება, ფაკულტეტის ელექტრონული ჟურნალის დაფინანსება. პროფესორმა თ. გაგოშიძემ ასევე აღნიშნა, რომ მომავალ წელს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა ფინანსდება 17910 ლარით, რაც არ არის საკმარისი. მიმდინარე წელს სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაზე ფაკულტეტმა დახარჯა 25000 ლარი ბიუჯეტის სხვა მუხლებიდან აკუმულირებული თანხების საშუალებით. მან ხაზი გაუსვა სტუდენტების ამ აქტივობების დაფინანსების აუცილებლობას და სტუდენტების კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობის წახალისებას.
2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი დადგა კენჭისყრაზე და საბჭომ ერთხმად დაამტკიცა:
მომხრე- 26
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

7. ფაკულტეტის შესწორებული სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცება.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ.გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ მათ დაგზავნილი ჰქონდათ სადისერტაციო საბჭოს დებულების შევსებული ვერსია, რომელიც სადისერტაციო საბჭოს წევრ პროფესორთა მიერ სხვადასვა რეკომენდაციისა და შენიშვნის გათვალისწინებით გადამუშავდა.

გამოითქვა შენიშვნები და მოსაზრებები :
პროფესორი ქეთევან ჭკუასელი - ვფიქრობ მნიშვნელოვანია ამ დებულებაში ჩანაწერი, რომელიც ჩვენი მოთხოვნით დაემატა. მიუხედავად იმისა, რომ დოქტორანტის მეორე კოლოკვიუმს , ფაქტობრივად, წინასწარი დაცვის კონტექსტი აქვს, ვფიქრობთ, საჭიროა საბოლოო დაცვამდე სპეციალურ სექციაზე მოეწყოს ოფიციალური საჯარო წინასწარი დაცვა, რაც თავიდან აგვარიდებს ზოგიერთი სადისერტაციო ნაშრომში დისერტაციის დაცვის დღეს აღმოჩენილ მთელ რიგს პრობლემებისას.

პროფესორი ლალი სურმანიძე - დებულებით, საბოლოო დაცვაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ხელმძღვანელის დასაბუთებული თანხმობა. ამ ლოგიკით გამოდის, რომ ესა თუ ის ხელმძღვანელი პროფესორი არ უწევს ჯეროვან ხარისხობრივ კონტროლს ნაშრომს ? ვფიქრობ, საჯარო ოფიციალური წინასწარი დაცვის საჭიროება არ არის მიზანშეწონილი.

პროფესორი ქ. ჭკუასელი - ვფიქრობთ, სავალდებულო ნორმად უნდა დავაწესოთ დისერტანტმა ა 4 - ის ფორმატით წარმოადგინოს ავტორეფერატი ქართულ ენაზე, რაც მოგვცემს საშუალებას, პროფესიული საზოგადოება და ნებისმიერი დაინტერესებული პირი გაეცნოს დისერტაციის ძირითად შინაარსსა და დასკვნებს.

პროფესორი თ.გაგოშიძე - ვფიქრობ, ქართულენოვანი ავტორეფერატის მოთხოვნის აუცილებლობა არ არის, დაინტერესებული პირები ისედაც გაეცნობიან დისერტაციას, მით უფრო, რომ იგი აბსოლუტურად საჯარო სივრცეში, უნივერსიტეტის საიტზე იდება დაცვიდან მოკლე პერიოდში.

საბჭომ კენჭი უყარა **ფაკულტეტის შესწორებულ სადისერტაციო საბჭოს დებულებას და რეკომენდაცია მისცა სადისერტაციო საბჭოს გამოთქმულ მოსაზრებებსა და შენიშვნეზე მუშაობა განაგრძოს.**

მომხრე- 26
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

8. საბაკალავრო პროგრამაში უცხოენოვანი ლიტერატურის მქონე სილაბუსების შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ.გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ რეგულაციით, საბაკალავრო დონეზე, სავალდებულო სტატუსის მქონე საგნებში მნიშვნელოვანია მითითებული ლიტერატურა იყოს ქართულ ენაზე ან არსებობდეს ქართულენოვანი რიდერი. რაც შეეხება არჩევით კურსებს, მიზანშეწონილი იქნება, თუ საბაკალავრო დონეზე გარკვეული რაოდენობა არჩევითი კურსებისა იქნება უცხოენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით, რაც მოგვცემს საშუალებას, გავეცნოთ უახლეს სამეცნიერო მიღწევებს მოკლე დროში.

აქვე საბჭოს თავჯდომარემ შესთავაზა კოლეგებს განსაზღვრონ კონკრეტული რაოდენობა/კვოტა, არჩევითი საგნების რა რაოდენობაში შეიძლება იყოს მითითებული უცხოენოვანი ლიტერატურა.

გამოითქვა შენიშვნები და მოსაზრებები :
ასოცირებული პროფესორი გიორგი გოროშიძე - ვფიქრობ, აღნიშნული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, ადრე თუ გვიან მოგვიწევს საბაკალავრო დონეზე ეტაპობრივად გადავიდეთ უცხოენოვანი ლიტერატურის მითითებაზე, რაც მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

პროფესორი ლალი სურმანიძე - ჩემი აზრით, კვოტად უნდა განისაზღვროს არა კონკრეტული რაოდენობა სილაბუსებისა, არამედ პროცენტული წილი, ვთქვათ, პროგრამის სილაბუსების 5%.

ასოცირებული პროფესორი რუსუდან სანაძე - ზოგიერთ პროგრამას, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ დაწყებითის მასწავლებლის მომზადების პროგრამას, არჩევითი საგნების რაოდენობა სულ რამდენიმე აქვს - სხვა პროგრამებისგან განსხვავებით მკვეთრად ცოტა. შესაბამისად, უცხოენოვანი ლიტერატურის მქონე საგნების 5% - ის განსაზღვრა მთლიანი პროგრამის მიხედვით მოგვცემს სურათს, რომ ჩვენს პროგრამაში ყველა არჩევითი საგანი უცხოენოვანი ლიტერატურის მითითებით იქნება, რამაც შესაძლოა პრობლემები შეუქმნას სტუდენტებს, ვერ აირჩიონ ესა თუ ის საგანი და დააკლდეთ კრედიტები.

პროფესორი თამარ გაგოშიძე - ვეთანხმები რუსუდანის პოზიციას, შესაბამისად, ვფიქრობ, კენჭი უნდა ვუყაროთ საკითხს შემდეგი ინტერპეტაციით - საბაკალავრო პროგრამაში უცხოენოვანი ლიტერატურის მქონე სილაბუსების წილი განისაზღვროს არჩევითი საგნების საერთო რაოდენობის არაუმეტეს 10 %-ისა.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 26

მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

9. ასოცირებული პროფესორის, მაია მესტვირიშვილის შემოქმედებითი შვებულება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ.გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ მის სახელზე შემოვიდა ასოც. პროფესორის, მაია მესტვირიშვილის წერილი 4 თვიანი ანაზღაურებადი, შემოქმედებითი შვებულების თაობაზე. ის 2016 წლის 20 იანვრიდან 20 მაისის ჩათვლით მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, კარნეგის კვლევითი სტიპენდიის ფარგლებში და 4 თვის მანძილზე განაგრძობს მუშაობას პროექტზე:"მიგრაცია და დაბრუნება სამშობლოში: იდენტობა, გენდერული როლები და ოჯახური ურთიერთობების დინამიკა". აღნიშნული პროექტის სამუშაოები დაფინანსებული იყო თსუ შიდასაკონკურსო კვლევითი გრანტის ფარგლებში.

კვლევის პროექტი ითვალისიწინებს ვიზუალური მასალის შეგროვებას და ანალიზს. ამ მიზნით, ასოცირებული პროფესორი მაია მესტვირიშვილი ნიუ იორკის უნივერსიტეტის (The Graduate Center, City University of New Your (CUNY) ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორის დევიდ ჩაპინის სუპერვიზორობით გეგმავს ვიზუალური კვლევითი მასალის დამუშავებას და პარალელურად, სასწავლო კურსის „ ვიზულური კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში" განახლებას და დახვეწას.

პროფესორმა თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია პროფესორების ხელშეწყობა კვლევის შედეგების დამუშავებაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების დამყარებასა და სასწავლომ კურსების მომზადებაში.

საბჭომ კენჭი უყარა ასოცირებული პროფესორის, მაია მესტვირიშვილის თხოვნის დაკმაყოფილებას 4-თვიანი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების თაობაზე 2016 წლის 20 იანვრიდან 20 მაისის ჩათვლით.

მომხრე- 26
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

10. მისაღები კონტინგენტის კვოტებში ცვლილების ცნობად მიღება: პროგრამა მულტილინგვური განათლების 10 ადგილის დამატება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ.გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამისათვის - მულტილინგვური განათლება - უნივერსიტეტის მიერ დაშვებულ იქნა დამატებით 10 ადგილი.

ფაკულტეტის საბჭომ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

სხვა:

11. **სამაგისტრო პროგრამის - „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება" თანახელმძღვანელების დამტკიცება.**

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლუიზა არუთინოვამ, საბჭოს მოახსენა, რომ აკრედიტირებულ სამაგისტრო პროგრამაში - „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“ შესატანია ცვლილება. მოხდა პროგრამის ერთგვარი ინტერნაციონალიზაცია და ბრემენის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის პროფესორი; ბრემენის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიისა და რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელი ფრანც პეტერმანი და ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბრემენის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიისა და რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე ულრიკე პეტერმანი გახდნენ დასახელებული სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელები. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება *ონლაინ რეჟიმში პროგრამის უცხოელ ხელმძღვანელებთან მუშაობა ,* ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციის მიღება. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ ერთი (მეოთხე) სემესტრის განმავლობაში ისწავლონ ბრემენის უნივერსიტეტში, რაც გულისხმობს ბრემენის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში „პრაქტიკაზე ორიენტირებული სემინარების“ კურსის გავლას ბავშვთა კლინიკურ ფსიქოლოგიაში (რაც მოიცავს 12 კრედიტს).

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 26
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

12. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საბაკალავრო კურსის სილაბუსის- „ შესავალი ფსიქოლოგიაში“დამტკიცება

ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი გოროშიძემ საბჭოს განუცხადა, რომ წარმოდგენილია არასპეციალისტებისათვის, კერძოდ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო კურსი „ შესავალი ფსიქოლოგიაში“.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ სილაბუსს და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 26
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

13. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ პროფესორ გუგული მაღრაძის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური შტატის დატოვებისა და ასოცირებულ პროფესორ შალვა აბზიანიძის გარდაცვალების გამო, საჭიროა ხელახლა დამტკიცდეს ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობა. რადგანაც საუნივერსიტეტო რეგულაცია არ განსაზღვრავს საგამომცემლო საბჭოს წევრთა სავალდებულო რაოდენობას. საბშოს შემადგენლობაში დარჩებიან შემდეგი პროფესორები: თავმჯდომარე -პროფესორი თამარ გაგოშიძე, პროფესორები: ქ.ჭკუასელი, მზია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი გიორგი გოროშიძე, ლ. არუთინოვი, ი.პეტრიაშვილი, ი.კუტალაძე, გ.გოროშიძე.
ასისტენტ პროფ.: ე. ფირცხალავა, ხ.მარწყვიშვილი, ი. აფთარაშვილი, მ.დეპოსტაშვილი.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 26
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

14. საბაკალავრო დონეზე არჩევითი საგნის „განათლება და ბავშვთა უფლებები“ დაფიქსირების შესახებ.

პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტის მიერ საბაკალავრო პროგრამების დამტკიცების ფარგლებში საფაკულტეტოს არჩევით საგანთა ნუსხაში გამორჩენილია არჩევითი საგანი „განათლება და ბავშვთა უფლებები“, რომელიც აუცილებლობით ჩასასმელია საფაკულტეტო არჩევით საგანთა ძირითად ბადეში.

საბჭომ კენჭი უყარა წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 26
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

15. ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2015-2016 წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების სადოქტორო თემების პირობითი სათაურების დამტკიცება

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა ანასტასია ქიტიაშვილმა წარმოადგინა 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების თემების პირობითი სათაურები და ხელმძღვანელები.

სადოქტორო პროგრამა – **„კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“**

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – პროფესორი თამარ გაგოშიძე

1. **ირინე დოღაძე**
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი თამარ გაგოშიძე
სადოქტორო თემის სახელწოდება – „მეტყველების განვითარების დარღვევების ნეიროფსიქოლოგიური და ნეიროლინგვისტური ანალიზი“
2. **მარიამ მალანია**
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი თამარ გაგოშიძე
სადოქტორო თემის სახელწოდება – „აღმასრულებელი ფუნქციების ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი გენერალიზებული და ფოკალური ეპილეფსიების დროს“
3. **მარიკა არევაძე**
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი თამარ გაგოშიძე
სადოქტორო თემის სახელწოდება – „ჟესტური ენის კოგნიტური ეფექტის ნეიროფსიქოლოგიური მოდელი“

სადოქტორო პროგრამა – **„გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“**

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები – პროფესორი ნანა სუმბაძე,
ასოც. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი

1.**თინათინ ტყეშელაშვილი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნანა სუმბაძე.

სადოქტორო თემის სახელწოდება – „არაქართულენოვანი სტუდენტების სასწავლო გარემოში ინტეგრაციის წინაპირობები და დინამიკა“

2. **ნინო უძილაური**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც.პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი

სადოქტორო თემის სახელწოდება –

“საჯარო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების რეფორმაში მონაწ ილეობის სოციალურ–ფსიქოლოგიური ფაქტორები საქართველოში”

3. **ნაზი ფარსადანიშვილი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც.პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი

სადოქტორო თემის სახელწოდება – „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ–ფსიქოლოგიური თავისებურებების კვლევა“

4. **ნინო ნათენაძე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც. პროფესორი თამარ აბაშიძე

სადოქტორო თემის სახელწოდება – „მასწავლებელთა მოტივაცია როგორც განათლების ხარისხის პირობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში“

სადოქტორო პროგრამა – **„სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“**

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – პროფესორი ნანა სუმბაძე

1.**ვახტანგ ნოზაძე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც.პროფესორი ლუიზა არუთინოვა

სადოქტორო თემის სახელწოდება – „კრიმინალური აზროვნება, როგორც აზროვნების პატერნი“

2. **ნათია ობგაიძე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც.პროფესორი ლუიზა არუთინოვა

სადოქტორო თემის სახელწოდება – „პიროვნული მახასიათებლები და ქცევითი მოდელების დინამიკა“ (მომავალი ოფიცრების მაგალითზე)

3. **სალომე ყავლაშვილი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც.პროფესორი მაია მესტვირიშვილი

სადოქტორო თემის სახელწოდება – „ჯგუფის კომუნიკაციის სტრუქტურა კონტაქტის ციკლის თეორიის ჭრილში“

4.**ნინო გრებენჩუკი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც.პროფესორი გიორგი გოროშიძე

სადოქტორო თემის სახელწოდება – “ორგანიზაციაში არსებული ჯდუფების შრომითი ეფექტურობის კვლევა ქართული კულტურის სპეციფიკის გათვალისწონებით”

სადოქტორო პროგრამა – **„ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია“ (ინტერდისციპლინური)**

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – პროფესორი ლალი სურმანიძე

1.**თამარ ჩხაიძე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ლალი სურმანიძე

სადოქტორო თემის სახელწოდება – „ბედისწერა – ქართული კულტურული მოდელი“

2. **მაია ჯინჭარაძე** სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც.პროფესორი თამარ აბაშიძე

სადოქტორო თემის სახელწოდება – "ემოციების ფსიქოანთროპოლოგიური ასპექტები"

3. **თეონა ნუცუბიძე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც. პროფესორი მანანა მელიქიშვილი

სადოქტორო თემის სახელწოდება – „მორალური განვითარების ასპექტები ქართულ კულტურაში "

სადოქტორო პროგრამა – **„შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“**

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – პროფესორი ია კუტალაძე

1. **ქრისტინე კანდელაკი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ია კუტალაძე

სადოქტორო თემის სახელწოდება – "ორგანიზაციული სამოქალაქო ქცევის მიმართება შრომით ღირებულებებსა და შრომით ეთიკასთან"

2. **ნანა ყუფუნია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ია კუტალაძე

სადოქტორო თემის სახელწოდება – "სამუშაოს შესრულების მართვა განათლების სისტემის ორგანიზაციებისთვის".

სადოქტორო პროგრამა – **„ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“**

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები – პროფესორი ნოდარ ბელქანია, პროფესორი ფრიდრიხ გლაზლი (ზალზბურგი, ავსტრია)

ასოც.პროფესორი მანანა მელიქიშვილი

1. **ეკა დათიაშვილი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნოდარ ბელქანია

სადოქტორო თემის სახელწოდება – „კურსდამთავრებულთა დასაქმება კერძო და საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციებში“

2. **გვანცა ბარაბაძე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნოდარ ბელქანია

სადოქტორო თემის სახელწოდება – „მომსახურებითი ორგანიზაცია პიონერულიდან დიფერენციაციის ფაზაზე გარდამავალ პერიოდში“

3. **ალექსანდრე ჭელიძე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნოდარ ბელქანია

სადოქტორო თემის სახელწოდება – "მეტაფორების მნიშვნელობა და გავლენა ორგანიზაციულ კულტურაზე საჯარო სექტორში"

4. **ანნა კარდანახიშვილი**

სამეცნიერო ხელმძღვანელები – პროფესორი ნოდარ ბელქანია

სადოქტორო თემის სახელწოდება – „ორგანიზაციული კონფლიქტის სტრატეგიები და მათი გადაჭრის თავისებურებანი“

სადოქტორო პროგრამა – **„განათლების მეცნიერებები“**

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – პროფესორი ქეთევან ჭკუასელი

1. **ნათია ნაცვლიშვილი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ქეთევან ჭკუასელი

სადოქტორო თემის სახელწოდება – „ინტერკულტურული წიგნიერების განვითარების ასპექტები“

2. **ქეთევან ბაქანიძე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ქეთევან ჭკუასელი

სადოქტორო თემის სახელწოდება – „უმაღლესი სკოლის რეფორმა – პრობლემები და პერსპექტივები (1990 წლიდან დღემდე)“

3. **ქეთევან ტაბატაძე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც. პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი

სადოქტორო თემის სახელწოდება – „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება დაწყებით სკოლაში ინგლისური ენის სწავლების პროცესში“

4. **მარიამ მურჯიკნელი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც. პროფესორი ია ნაცვლიშვილი

სადოქტორო თემის სახელწოდება – „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ზრდის პერსპექტივები“

5. **ნესტან ყავლაშვილი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც. პროფესორი იური პაპავა

სადოქტორო თემის სახელწოდება – „კოჰერენტული ოპტიკის სწავლების პრობლემები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“

6. **თინათინ იზორია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც. პროფესორი კახა გაბუნია

სადოქტორო თემის სახელწოდება – „სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა ეთნიკურ უმცირესობებში“

7. **ნინო კოდუა**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც.პროფესორი რუსუდან სანაძე

სადოქტორო თემის სახელწოდება – „ზრდასრულების (45–60 წელი) პროფესიულ განათლებაში ჩართულობის ხარისხის კვლევა“

8. **მაია ფილაური**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ქეთევან ჭკუასელი,
პროფესორი ივა ძუტერკი, საფრანგეთი, ნანტის უნივერსიტეტი

სადოქტორო თემის სახელწოდება – „განათლების სისტემის რეგულაციის ფორმებია ანალიზი – საქართველო/საფრანგეთი“(შედარებითი ანალიზი)

9. **გვანცა თვალჭრელიძე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ქეთევან ჭკუასელი

სადოქტორო თემის სახელწოდება – „სწავლების პროცესის თავისებურებანი პროფესიულ სასწავლებელში“

10. **თამარ თავშავაძე**
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ქეთევან ჭკუასელი,
პროფესორი რუსუდან თაყაიშვილი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
სადოქტორო თემის სახელწოდება – „მუსიკის სწავლების საკითხები
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ჩამონათვალს.
მომხრე: 26
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. ა) ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 1996 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 18 ივნისის სხდომის ოქმში მითითებულ კურსდამთავრებულთა, მათ შორის **ეკატერინე პატიეშვილის** აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად განისაზღვროს #18/პ, ხოლო იმავე წლის სხვა, უნომრო ოქმებს ნომრებად განესაზვროთ ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღი (რიცხვი), რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად.

ბ) ეთხოვოს შესაბამის ორგანოებს შეიტანონ ცვლილება 1996 წლის 12 ივლისის ბრძანება #4/479-ში და სპეციალობა „შრომისა და ეკონომიკის ფსიქოლოგია“-ს ნაცვლად აღნიშნულ ბრძანებაში ჩაიწეროს სპეციალობა „შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია“.

2. მიენიჭოთ ***განათლების მეცნიერებების მაგისტრის*** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2015 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი - განათლების მეცნიერებები

<u>**დიპლომი წარჩინების**</u>

ქვრივიშვილი მარი

<u>**დიპლომი ჩვეულებრივი**</u>

ლეკიაშვილი ვერიკო

მიენიჭოთ ***მასწავლებლის განათლების მაგისტრის*** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2015 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი - მასწავლებლის განათლება

ქვედარგი - ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

<u>**დიპლომი წარჩინების**</u>

ხეცურიანი თამარ

3. საბჭომ დასრულებულად ცნო ერთი პროექტი და ცნობად მიიღო ინფორმაცია სხვა პროექტების 6-თვიან პერიოდში შესრულებული სამუშაოს შესახებ.

4. დამტკიცდეს ი. ჯავახიშვილის სახელობის პროფესორების ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმისათვის შესარჩევი 8-წევრიანი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ასისტენტ-პროფესორები - ეფემია ხარაძე, ხათუნა მარწყვიშვილი თეონა ლოდია, მედეა დესპოტაშვილი; ასოცირებული პროფესორები რუსუდან სანაძე, ირაკლი იმედაძე, გიორგი ყიფიანი; პროფესორი - მზია წერეთელი.

5. დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმისათვის ნაშრომების შერჩევის პროცედურა: საბჭოს შერჩეულმა რეცენზენტებმა ასისტენტ პროფესორებმა ლილი ხეჩუაშვილმა, თეონა ლოდიამ და ნინო ლაბარტყავამ შეაფასონ სტუდენტთა ნაშრომები და წარუდგინონ საბჭოს დასამტკიცებლად.

6. დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით.
7. დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო დებულება წარმოდგენილი სახით.
8. დამტკიცდეს, რომ უცხოენოვანი ლიტერატურის მქონე კურსები შეადგენდეს არჩევითი საგნების არაუმეტეს 10%-ს.
9. დაკმაყოფილდეს ასოცირებული პროფესორის, მაია მესტვირიშვილის თხოვნა ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების თაობაზე 2016 წლის 20 იანვრიდან 20 მაისის ჩათვლით.
10. დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამის - „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“ თანახელმძღვანელებად პროფესორები ფრანც პეტერმანი და ულრიკე პეტერმანი
11. დამტკიცდეს სილაბუსი „შესავალი ფსიქოლოგიაში“ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისათვის.
12. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო შემადგენლობით: თავმჯდომარე -პროფესორი თამარ გაგოშიძე, პროფესორები: ქ.ჭკუასელი, მზია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი გიორგი გოროშიძე, ლ. არუთინოვი, ი.პეტრიაშვილი, ი.კუტალაძე, გ.გოროშიძე. ასისტენტ პროფ.: ე. ფირცხალავა, ხ.მარწყვიშვილი, ი. აფთარაშვილი, მ.დეპოსტაშვილი.
13. დამტკიცდეს ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2015-2016 წლის შემოდგომოს სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების სადოქტორო თემების პირობითი სათაურები.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / /

სხდომის მდივანი: ასისტენტ პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი / /16. 12. 2015